

ავტორი: მზია მაისურაძე
რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

ცივი ომის დასაწყისი

მასწავლებელი: მზია მაისურაძე
სსიპ ქალაქ თელავის N5 საჯარო სკოლა
კლასი : მე-12
საგანი: ისტორია
გაკვეთილის თემა: ცივი ომის დასაწყისი

სასწავლო მიზნები: მოსწავლეებმა გააცნობიერონ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოში არსებული საერთაშორისო ვითარება, იმსჯელონ ცივი ომის დაწყების მიზეზებზე, შეაფასონ აშშ-სა და სსრკ-ს მიზნები და როლი ცივი ომის ეპოქაში. მოსწავლეებს განუვითარდეთ კრიტიკული აზროვნების, არგუმენტირებული მსჯელობის უნარ-ჩვევები.

მედიაწიგნიერების მიზნები:

- მედიარესურსის კრიტიკული ანალიზი და სინამდვილის რეპრეზენტაციის შეფასება;
- სიტყვების ძალის გაცნობიერება, მედიაპროდუქტში გამოყენებული ვიზუალური ხატების აუდიტორიაზე ზეგავლენის შეფასება;
- კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი აზროვნების, დასკვნების გაკეთების უნარი.

ესგ-სთან შესაბამისობა:

ისტ. XII.4. მოსწავლეს შეუძლია პოლიტიკური ისტორიის საკითხების კვლევა. მსოფლიო ისტორიულ პროცესში საქართველოს ადგილის განსაზღვრა.

- ირჩევს სხვადასხვა ქვეყნის (რეგიონის) ორი მოღვაწის პოლიტიკურ იდეებს, ადარებს მათ და მსჯელობს, თუ რა გავლენა იქონია თითოეულმა მათგანმა მსოფლიოს ან რეგიონის პოლიტიკურ განვითარებაზე;

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

ცივი ომი - ტერმინი, რომლითაც აღინიშნებოდა მწვავე პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირება, ერთი მხრივ, აშშ-სა და დასავლეთის სხვა წამყვან სახელმწიფოებს, ხოლო, მეორე მხრივ, ყოფილ საბჭოთა კავშირსა და მის სატელიტებს შორის, რამაც თავი იჩინა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში და 90-იანი წლების დასაწყისამდე გრძელდებოდა. ტერმინი ეკუთვნის ამერიკელ ჟურნალისტ ჰ. სვოუპს და ფართოდ გავრცელდა უ. ლიმპანის სტატიებისა და გამოსვლების შედეგად. ც.ო. გამოხატვდა XX ს-ის მეორე ნახევრის საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითად შინაარსს, როცა მსოფლიოს ორ ძირითად პოლუსს შორის არც ომი იყო და არც მშვიდობა

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:

საკითხავი მასალა მასწავლებლისთვის;
საკითხავი მასალა მოსწავლეებისთვის;
სავარჯიშო;
პრეზენტაციები,
კომპიუტერი და პროექტორი

ავტორი: მზია მაისურაძე
 რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

შენიშვნა: ამ გაკვეთილის ჩასატარებლად, სასურველია მასწავლებელი წინასწარ გაეცნოს დამატებით მასალას ცივი ომისა და იზოლაციონიზმის შესახებ. გთავაზობთ საკითხავ მასალას (დანართი: მასწავლებლის საკითხავი მასალა), სადაც მოკლედაა აღწერილი ცივი ომის წარმოშობის მიზეზები და ქრონოლოგია, ასევე გთავაზობთ მოკლე მიმოხილვას იზოლაციონიზმის შესახებ.

წინარე ცოდნა: მოსწავლეებმა იციან მეორე მსოფლიო ომი, გასული წლების მასალიდან აქვთ გარკვეული ინფორმაცია მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოში არსებული საერთაშორისო ვითარების შესახებ, ომის დროს დიდი მოკავშირეების აშშ-სა და სსრკ-ს გადაქცევა დაპირისპირებულ მხარეებად.

გაკვეთილის მიმდინარეობა

აქტივობა 1. კითხვა-პასუხი

მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს კითხვა პასუხის მეთოდით. მასწავლებელი სვამს მაპროვოცირებელ კითხვებს, რომლებსაც უნდა უპასუხონ მოსწავლეებმა.

კითხვები	პასუხები
გაიხსენეთ მეორე მსოფლიო ომში მონაწილე წამყვანი სახელმწიფოები	დიდი ბრიტანეთი, აშშ, სსრკ, გერმანია, იტალია, იაპონია, საფრანგეთი
ამ სახელმწიფოებიდან რომლები იყვნენ მოკავშირეები?	გერმანია-იტალია-იაპონია დიდი ბრიტანეთი-სსრკ-აშშ- საფრანგეთი
მეორე მსოფლიო ომი რომელი ბანაკის გამარჯვებით დასრულდა?	დიდი ბრიტანეთი-სსრკ-აშშ- საფრანგეთი
გაიხსენეთ მოკავშირეთა ბანაკის რომელ სახელმწიფოებს შორის იწყება დაპირისპირება მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ?	აშშ- სსრკ
რა ეწოდება საერთაშორისო ურთიერთობების ამ პერიოდს?	ცივი ომი

აქტივობა 2. მინი ლექცია PowerPoint პრეზენტაციის დახმარებით

მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის ინფორმაციას „ცივი ომის“ შესახებ, ახესნებს ტერმინს და განმარტავს მას. სლაიდზე მოცემული რუკაზე აჩვენებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს, სადაც სსრკ-მ სოციალისტური რეჟიმები დაამყარა. მასწავლებელი მოსწავლეებს უხსნის როგორ დაიწყო „ცივი ომი“, რა ფაქტი ითვლება მის დასაწყისად, მოკლედ ესაუბრება უინსტონ ჩერჩილის გამოსვლის შესახებ, სადაც მან

ავტორი: მზია მაისურაძე

რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

ახსენა ტერმინი „რკინის ფარდა“ და პოპულარული გახდა ამას შემდეგ აღნიშნული ტერმინი. ასევე მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის მოკლე ინფორმაციას იოზეფ გებელსის შესახებ, რომელმაც პირველმა გამოიყენა ეს ტერმინი. მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება „ტრუმენის დოქტრინის“ შესახებ, ამ დოქტრინის მოქმედების მიზანზე, „მარშალის გეგმაზე“, იმ ვითარების შესახებ, რომელიც მსოფლიოში განვითარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და რამაც საბოლოოდ განაპირობა მსოფლიოს ორ ბანაკად გაყოფა. პრეზენტაციაში მასწავლებელი საუბრობს გერმანიის ორ ნაწილად გაყოფისა და ბერლინის კედლის შესახებ, რომელიც იქცა დასავლეთისა და აღმოსავლეთის გამყოფ სიმბოლოდ. მასწავლებელი საუბრობს ომის შემდეგ გერმანიის ორ ნაწილად გაყოფის შესახებ. პრეზენტაციაში მასწავლებელი ესაუბრება მოსწავლეებს სამხედრო-პოლიტიკური ბლოკების - ნატოსა და „ვარშავის პაქტის“ შესახებ. (ვინაიდან გაკვეთილი მხოლოდ ცივი ომის საწყის პერიოდს ეხება მასწავლებელი სიღრმისეულად არ განიხილავს მთელ ეპოქას თავისი კონფლიქტებითა თუ სხვა მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტებით). პრეზენტაციის ბოლოს მასწავლებელი საუბრობს სოციალისტური ბანაკის კრიზისისა და კომუნისტური რეჟიმების დამხობის შესახებ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

პრეზენტაცია „ცივი ომი“ იხილეთ დანართში

აქტივობა 3. წყაროების ანალიზი

წყაროების ანალიზის დაწყებამდე სასურველია მოსწავლეებმა შეასრულონ სავარჯიშო. სავარჯიშოში ჩამოწერილია მოსაზრებები. მოსწავლეებმა უნდა ივარაუდონ რომელმა პოლიტიკოსმა თქვა ესა თუ ის მოსაზრება:

ავტორი: მზია მაისურაძე
 რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი



სავარჯიშო N1

სავარჯიშოში მოცემულია მოსაზრებები, რომლებიც 1946 წელს გამოთქვეს სტალინმა და ჩერჩილმა.

ა) გაეცანით მოსაზრებებს:

<i>მოსაზრება 1: ბრიტანეთის თანამეგობრობამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა იმოქმედონ ერთობლივად ყველა მიმართულებით, ეს იქნება უშიშროების სრული გარანტია</i>
მოსაზრება 2: ჯერ კიდევ 1933 ან 1935 წელს ერთი გასროლის გარეშე შეიძლებოდა იმ საშინელების შეჩერება, რაც მოხდა. და დღეს გერმანია იქნებოდა ძლიერი, აყვავებული და პატივსაცემი ქვეყანა. მაშინ არ ისურვეს ჩემი მოსმენა და ჩვენ ამ საშინელ ომში აღმოვჩნდით ჩათრეული. ეს არ უნდა განმეორდეს.
<i>მოსაზრება 3: მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შექმნილია კომუნისტური მეხუთე კოლონები, რომლებიც მოსკოვიდან ღებულობენ დირექტივებს. მსოფლიოში მშვიდობისათვის საჭიროა ერთიანი ევროპა.</i>
მოსაზრება 4: მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში კომუნიზმს გავლენის ზრდა მთელ მსოფლიოში საგრძნობია და ეს კანონზომიერია. სწორედ კომუნისტურმა მოძრაობამ იბრძოლა გმირულად და იხსნა მსოფლიო ფაშიზმის საფრთხისგან.
მოსაზრება 5: ის გვესაუბრება ომის გამჩაღებლის პოზიციიდან და მას ჰყავს თანამოაზრეები ბრიტანეთსა და შტატებში
მოსაზრება 6: ბრიტანეთის თანამეგობრობამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა იმოქმედონ ერთობლივად ყველა მიმართულებით, ეს იქნება უშიშროების სრული გარანტია“
მოსაზრება 7: გერმანია სსრკ-ში შემოიჭრა სწორედ იმის წყალობით, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მართავდნენ საბჭოეთისადმი მტრულად განწყობილი მთვაროებები.

ბ) ქვემოთ მოცემულ ცხრილში მონიშნეთ იმ მოსაზრების ნომერი, რომელიც ეკუთვნის სტალინს, ჩერჩილს.

													
1	2	3	4	5	6	7	1	2	3	4	5	6	7

სავარჯიშო მოსწავლეებმა შეიძლება შეასრულონ ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად.



სავარჯიშოს შესრულების შემდეგ, მოსწავლეები ინდივიდუალურად ეცნობიან ორ წყაროს: 1946 წლის 5 მარტი უინსტონ ჩერჩილის სიტყვა ფულტონში (აშშ, მისურის შტატი) და იოსებ სტალინის ინტერვიუ ჩერჩილის სიტყვასთან დაკავშირებით (გაზეთი „პრავდა“, 1946 წლის 14 მარტი)

წყაროებს და შემდეგ პასუხობენ მასწავლებლის დასმულ კითხვებს.

წყარო N1: 1946 წლის 5 მარტი უინსტონ ჩერჩილის სიტყვა ფულტონში (აშშ, მისურის შტატი)

(ისტორია, მე-12 კლასი, გ.აბდალაძე, ნ. ახმეტელი, ბ. კუპატაძე, ნ. მურღულია, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2012)



აშშ ამჟამად თავის ძლიერების ზენიტშია. ამერიკული დემოკრატია ზეიმობს, მაგრამ მას დიდი პასუხისმგებლობაც აკისრია მომავლის წინაშე. ვფიქრობ, ჩვენ, ინგლისურენოვანი ქვეყნები, შევძლებთ, როგორც ომის დროს, ისე მშვიდობიან ეპოქაშიც სათანადო სიმაღლეზე წარმოვაჩინოთ თავი.

არასწორი იქნებოდა ატომური ბომბის, რომელიც ამჟამად აშშ-ს, დიდ ბრიტანეთსა და კანადას აქვთ, შექმნის

საიდუმლოება და გამოცდილება გავრცელდეს მსოფლიოში. ჩვენ უშიშრად უნდა გამოვაცხადოთ თავისუფლებისა და ადამიანის დიადი უფლებების პრინციპები, რომლებიც ინგლისურენოვანი სამყაროს ერთობლივი მემკვიდრეობაა და განვითარდა... ეს პრინციპები გულისხმობს, რომ 1. ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობას აქვს უფლება, კონსტიტუციის ფარგლებში, თავისუფალი გაუყალბებელი არჩევნებით, აირჩიოს ან შეცვალოს მმართველობითი ფორმა.; 2. უნდა ბატონობდეს სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლება. მოსამართლეები არ უნდა განიცდიდნენ რაიმე ზეგავლენას, იმისათვის რომ იმოქმედოს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ მოწონებულმა ან ტრადიციით განმტკიცებულმა კანონებმა...

შეგინიდან, ბალტიის ზღვაში ვიდრე ტრიესტამდე, ადრიატიკაში კონტინენტზე ჩამოეშვა „რკინის ფარდა“. ფარდის იქით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ძველ სახელმწიფოთა დედაქალაქებია: ვარშავა, ბერლინი, პრაღა, ვენა, ბუდაპეშტი, ბელგრადი, ბუქარესტი, სოფია. ყველა ეს რეგიონი არა უბრალოდ საბჭოთა გავლენის ქვეშაა, არამედ მოსკოვის მხრიდან მზარდ კონტროლს განიცდის.

ფარდის მეორე მხარეს სხვა შემაშფოთებელი მოვლენები ხდება... რუსეთისგან ძალიან შორს, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში შექმნილია კომუნისტური მეხუთე კოლონები, რომლებიც მოსკოვიდან ლებულობენ დირექტივებს. მსოფლიოში მშვიდობისათვის საჭიროა ერთიანი ევროპა.

მე თავს მოვალედ ვთვლი, დავიხატოთ ის ჩრდილი, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთში მთელ მსოფლიოს ეცემა. I ომის შემდგომ, ვერსალის ხელშეკრულების ხელმოწერისას გვქონდა დიდი იმედი და უსაზღვრო რწმენა, რომ ომი აღარ იქნებოდა და ერთა ლიგა ძლიერად მოსილი გახდებოდა. დღეს ასეთი იმედი აღარ გვაქვს. არ მინდა დავიჯერო, რომ ახალი ომი გარდაუვალია. ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა და ჩვენ შეგვიძლია მომავლის ხსნა. არ მჯერა რომ რუსეთს სურს ომი. ომის დროს ჩვენ რუს მეგობრებზე დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ ისინი ყველაზე მეტად ძალას სცემენ პატივს და ყველაზე ნაკლებად - სამხედრო სისუსტეს. ჯერ კიდევ 1933 ან 1935 წელს ერთი გასროლის გარეშე შეიძლებოდა იმ საშინელების შეჩერება, რაც მოხდა. და დღეს გერმანია იქნებოდა ძლიერი, აყვავებული და პატივსაცემი ქვეყანა. მაშინ არ ისურვეს ჩემი მოსმენა და ჩვენ ამ საშინელ ომში აღმოვჩნდით ჩათრეული. ეს არ უნდა განმეორდეს. ბრიტანეთის თანამეგობრობამ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა იმოქმედონ ერთობლივად ყველა მიმართულებით, ეს იქნება უშიშროების სრული გარანტია

ავტორი: მზია მაისურაძე

რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

წყარო N2: იოსებ სტალინის ინტერვიუ ჩერჩილის სიტყვასთან დაკავშირებით, გაზეთი „პრავდა“, 1946 წლის 14 მარტი

(ისტორია, მე-12 კლასი, გ.აბდალაძე, ნ. ახმეტელი, ბ. კუპატაძე, ნ. მურღულია, გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი, 2012)



მე ამას ვაფასებ სახიფათო განცხადებად, რომლის მიზანია მოკავშირე სახელმწიფოების შორის განხეთქილების თესლის ჩამოგდება და თანამშრომლობის გართულება. ბატონი ჩერჩილი გვესაუბრება ომის გამჩაღებლის პოზიციიდან და მას ჰყავს თანამოაზრეები ბრიტანეთსა და შტატებში. ისინი ჰიტლერს მაგონებენ. ჰიტლერმაც რასობრივი

თეორიით დაიწყო. ბატონი ჩერჩილიც ომის დაწყებას რასობრივი თეორიით აპირებს, რომ ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ერები არიან სრულყოფილნი და მოწოდებულნი მთელი მსოფლიოს ბედის განმგებლად.

ბატონი ჩერჩილი უბოდიშოდ ცრუობს, როდესაც აფასებს ევროპაში შექმნილ ვითარებას. ბერლინსა და ვენაში არავითარი სრული საბჭოთა კონტროლი არ არსებობს.. გერმანია სსრკ-ში შემოიჭრა სწორედ იმის წყალობით, რომ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს მართავდნენ საბჭოეთისადმი მტრულად განწყობილი მთავრობები. ომში სსრკ-მ გაიღო მოკავშირეებზე ბევრად მეტი მსხვერპლი, 7 მლნ. საბჭოთა მოქალაქე იტანჯებოდა გერმანულ ბანაკებში. ისმება კითხვა, რა არის საოცარი იმაში, რომ ჩვენ ვვსურს, ამ ქვეყნებს შემდგომში მართავდნენ ჩვენდამი ლოიალურად განწყობილი მთავრობები.

კომუნისტებს გავლენის ზრდა მთელ მსოფლიოში საგრძნობია და ეს კანონზომიერია. სწორედ კომუნისტურმა მოძრაობამ იბრძოლა გამირულად და იხსნა მსოფლიო ფაშიზმის საფრთხისგან. გასაგებია, რომ ბატონ ჩერჩილს ეს არ მოსწონს. მას არც I მსოფლიო ომის შემდგომ რუსეთში საბჭოთა რეჟიმის გამარჯვება მოსწონდა. სწორედ მან ატეხა განგაში და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ 14 სახელმწიფოს ლაშქრობა მოაწყო ისტორიის ჩარხის უკუღმა დასატრიალებლად.

კითხვები	სავარაუდო პასუხები
რომელი სახელმწიფოს ლიდერის უინსტონ ჩერჩილი?	დიდი ბრიტანეთის, ინგლისის
თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება ჩერჩილის სიტყვა?	მსოფლიოს დაანახოს სსრკ-ს სახე, სსრკ-ს როლი მსოფლიოს გაყოფაში და მისგან მომავალი საფრთხე.
რა ხერხს იყენებს ჩერჩილი მიზნის მისაღწევად?	იყენებს სხავდასხვა მაგალითს წარსულიდან, ასევე მოსახლეობას უხატავს ხელახალი ომის საშიშროებას. სიტყვების საშუალებით ცდილობს ხალხზე ზეგავლენის მოხდენას.
როგორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უწყობს ჩერჩილი თავისი სიტყვით?	მსოფლიოში მშვიდობის გარანტი არის აშშ და დიდი ბრიტანეთი.

ავტორი: მზია მაისურაძე

რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

ვინ არის ამ გზავნილის აუდიტორია?	აშშ-ს, დასავლეთ ევროპის მოქალაქეები, ასევე ზოგადად ევროპის საზოგადოება. ვისთანაც მიაღწევს აღნიშნული გზავნილი.
----------------------------------	---

კითხვები	სავარაუდო პასუხები
რომელი სახელმწიფოს ლიდერია იოსებ სტალინი?	სსრკ-ს, საბჭოთა კავშირის
რა მიზანს ემსახურება სტალინის ინტერვიუ?	პასუხი გასცეს ჩერჩილს, და გააბათილოს მისი განცხადება.
როგორ ცდილობს სტალინი ჩერჩილის განცხადების გაბათილებას?	სტალინი საუბრობს მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს მეთაურის პოზიციიდან, იხსენებს ისტორიულ მაგალითებს, ხაზს უსვამს საბჭოთა კავშირის დასახურებას ფაშიზმის განადგურებაში.
როგორი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას უწყობს სტალინი ამ ინტერვიუთი?	საზოგადოებას დაანახოს ჩერჩილის „ცრუ“ სახე, ჩამოაყალიბოს ანტიამერიკული და ანტიბრიტანული დამოკიდებულება, საზოგადოებას დაანახოს დიადი კომუნიზმის დამსახურება, ხალხს გაუჩინოს მადლიერების გრძნობა საბჭოთა კავშირის მიმართ, რადგან მან სძლია ფაშიზმს.
ვინ არის ამ გზავნილის აუდიტორია?	საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის მოქალაქეები

ამ სავარჯიშოს შესრულების შემდეგ სასურველია მასწავლებელმა გამართოს დისკუსია კლასში საკითხის შეჯამების მიზნით. დისკუსია შეიძლება წარიმართოს ქვემოთ მოცემული სადისკუსიო კითხვების დახმარებით:

- რას თვლის მშვიდობის საფუძვლად სტალინი? ჩერჩილი?
- როგორ გამოხატავენ ისინი საკუთარ პოზიციას? რა სიტყვებს იყენებენ? რა მაგალითები მოჰყავთ არგუმენტებად? სანდოა მათი არგუმენტები?

აქტივობა 4. მსჯელობა


მთავარი კითხვა: როგორ ფიქრობთ დღევანდელი გადმოსახედიდან რომელი მათგანი „ატრიალებდა ისტორიის ჩარხს უკუღმა“?

მოსწავლეები მსჯელობენ ჩერჩილისა და სტალინის გზავნილების შესახებ, გაანალიზებენ თითოეული ისტორიული პირის სიტყვებს და მათ ქვეტექსტებს, მოსწავლეები შეაფასებენ და გამოხატავენ საკუთარ აზრს, რომელი მათგანი „ატრიალებდა ისტორიის ჩარხს უკუღმა“. მოვლენებს შეაფასებენ დღევანდელი გადმოსახედიდან და არგუმენტებით გაამყარებენ საკუთარ შეხედულებებს.


აქტივობა 5. მსჯელობა ილუსტრაციების შესახებ.

ამ აქტივობით მოსწავლეები გაანალიზებენ, როგორ აისახა „ცივი ომის“ პოლიტიკა პლაკატებზე, რა ხერხებს იყენებდნენ ავტორები, რომ გამოესახათ ცივი ომის პოლიტიკა და გავლენა მოეხდინათ აუდიტორიაზე. გთავაზობთ სამ პლაკატს, პლაკატები მოსწავლეებს შეიძლება უჩვენოთ პრეზენტაციის სახით. იხილეთ პლაკატების პრეზენტაცია დანართში.

ავტორი: მზია მაისურაძე
 რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი
ილუსტრაცია N1

 კითხვები	პასუხები
რომელი სახელმწიფოებია გაშარჟებული მოცემულ კარიკატურაზე?	აშშ, სსრკ
საიდან გააკეთეთ ეს დასკვნა?	ფოტოს მარჯვენა მხარეს უკან ჩანს აშშ-ს დროშა, მარცხენა მხარეს კი - სსრკ-სი
როგორი დამოკიდებულებაა კარიკატურაზე გამოსახულ სახელმწიფოებს შორის?	მტრული
რისი თქმა სურს ამ კარიკატურის ავტორს?	ამერიკა და საბჭოთა კავშირი ერთმანეთს ეცილებიან მსოფლიოს გაყოფაში.
რა ეწოდება საერთაშორისო ურთიერთობების იმ პერიოდს, რომელსაც ზემოთ მოტანილი კარიკატურა ასახავს?	ცივი ომი


ილუსტრაცია N2

 კითხვები	პასუხები
რომელ სახელმწიფოში შეიქმნა აღნიშნული ილუსტრაცია?	სსრკ
საიდან გააკეთეთ ეს დასკვნა?	წარწერები რუსულ ენაზეა, ასევე ქუდზე გამოსახულია აშშ-ს ფულის ერთეული დოლარი, რომელიც სხვადასხვა მეთოდებით ცდილობს გავლენის გავრცელებას მსოფლიოზე.
რა იყო აღნიშნული ილუსტრაციის შექმნის მიზანი?	ხალხისთვის დაენახებინათ რა მეთოდებით ცდილობს აშშ მსოფლიოში გავლენის მოპოვებას
ვისთვის შეიქმნა ეს გზავნილი?	საბჭოთა (და არამხოლოდ) მოქალაქეებისთვის
რისი გადმოცემა უნდოდა ამ გზავნილის ავტორს?	აშშ სხვადასხვა უარყოფითი მეთოდებით ცდილობს გავლენის მოპოვებას მსოფლიოში
როდის შეიქმნა აღნიშნული ილუსტრაცია?	ცივი ომის პერიოდში

ილუსტრაცია N3

ავტორი: შოია მაისურაძე

რედაქტორი: თამარ მოსიაშვილი

 კითხვები	პასუხები
რომელ ქვეყანაში შეიქმნა წარმოდგენილი ილუსტრაცია?	აშშ
საიდან გააკეთეთ ეს დასკვნა?	წარწერები ინგლისურ ენაზეა, ილუსტრაციაზე გამოსახულ გემზე წერია „აშშ“, შინაარსობრივად ილუსტრაცია საბჭოთა კავშირისაგან მომავალ საფრთხეზე მოგვითხრობს.
რა იყო ილუსტრაციის შექმნის მიზანი?	მსოფლიოსთვის დაენახებინათ საბჭოთა კავშირისგან მოახლოვებული საფრთხე
ვისთვის შეიქმნა ეს გზავნილი?	აშშ-სა და დასავლეთ ევროპის ხალხისთვის
რისი გადმოცემა უნდოდა ავტორს აღნიშნული ილუსტრაციით?	საბჭოთა კავშირი არის საფრთხე, რომელიც უახლოვდება ამერიკას (ამერიკის გავლენის ქვეშ მყოფ სახელმწიფოებს)
რას აღნიშნავს აისბერგთან აღმართული საფლავის ქვები?	ქვეყნებს, რომლებშიც საბჭოთა კავშირის გავლენით სოციალისტური მთავრობები მოვიდნენ

საშინაო დავალება: საშინაო დავალების სახით მოსწავლეებმა შეიძლება მოამზადონ ცივი ომის პერიოდში საქართველოს პარტიული ჩინოვნიკების დაკვეთით შექმნილი პლაკატები, იმდროინდელ საქართველოში საბჭოთა რეჟიმის მოწინააღმდეგე მოქალაქეების მიერ შექმნილი პლაკატები.